


შპს გეო-ინდუსტრია
2023 წლის ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	140644	115603	193164
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	106593	58367	20944
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	0	18670	44206
მარაგები	235915	65787	119439
მზა პროდუქცია	18837	16870	8180
სხვა	217078	48917	111259
სხვა მოკლევადიანი აქტივები	27617	27617	25440
სხვა არამატერიალური აქტივები	2173	2233	847
ძირითადი საშუალებები	2524709	2490321	2074562
სულ აქტივები	3037651	2778598	2478602
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	6953	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	20550	22300	23090
საგადასახადო ვალდებულებები	10659	7262	4055
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	8348371	8092773	7042773
სულ ვალდებულებები	8386533	8122335	7069918
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	1889285	612285	87285
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-7238167	-5956022	-4678601
სულ საკუთარი კაპიტალი	-5348882	-5343737	-4591316
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3037651	2778598	2478602
სულ მოკლევადიანი აქტივები	27617	27616	25440



საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2023	31/12/2022
ნეტო ამონაგები	2049208	831254
საქონლის გაყიდვიდან	2049208	831254
გაყიდვების თვითღირებულება	-1424373	-611501
საერთო მოგება	624835	219753
დასაქმებულთა ანაზღაურება	-840577	-574598
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-153656	-108305
იჯარის ხარჯი	-58994	-42696
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-853753	-771575
სულ საოპერაციო ხარჯები	-1906980	-1497174
საოპერაციო მოგება	-1282145	-1277421
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი		
ოპერაციებიდან	-1282145	-1277421
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-1282145	-1277421
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-1282145	-1277421
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	-5343737	-4591316
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა',		
კოორპორატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	1277000	525000
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-5348882	-5343737



სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს გეო-ინდუსტრია (ს/ნ 229650892, შემდგომში კომპანია) რეგისტრირებულია 2006 წლის 12 ივლისს. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ვანი, ჭავჭავაძის ქ., #36. კომპანიის ბენეფიციარი მფლობელები არიან:

- თეა ნანიტაშვილი (პ/ნ 01026006571) – 85 %;
- ლევან გამგებელი (პ/ნ 01006001017) – 15 %

კომპანიის მენეჯმენტი შედგება:

- დირექტორი - ლევან გამგებელი (პ/ნ 01006001017)

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა,

01250 - სხვა ხილის, კენკროვნების და კაკლისებრების მოყვანა

10510 - რძის გადამუშავება და ყველის წარმოება

01500 - შერეული სოფლის მეურნეობა

46330 - საბითუმო ვაჭრობა რძის პროდუქტებით, კვერცხით და საკვები ზეთებით და ცხიმებით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად და წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულში (ლარი).

ამონაგების აღიარება

დირექტორი
ლ. გამგებელი



ამონაგები მომსახურებიდან აღიარდება მაშინ როდესაც მყიდველს მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

ძირითადი საშუალებები


ცვეთის დარიცხვა ხდება საგადასახადო მეთოდით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება საგადასახადო მეთოდით.

დირექტორი
ლ.გამგებელი



იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ

დირექტორი

ლ.განგებელი



სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. ფული და ფულადი ექვივალენტები

დირექტორი
ლ.გამგებელი



კომპანიის საოპერაციო და საანგარიშო ვალუტა არის , საქართველოს ეროვნული ვალუტა ლარი.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული, საქართველოს ეროვნული ბანკის (სეზ) მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების, კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სეზ-ის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით.

2023 წლის 31 დეკემბრისთვის ოფიციალური გაცვლითი კურსი როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ იყო:

ლარი / 1 აშშ დოლარი	_____	2.6894
ლარი / 1 ევრო	_____	2.9753

